



გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა საქართველოს სახელით

საქმე №38/1474-15
N330310014652811

15 ივნისი, 2016 წელი
ქ. თბილისი

თბილისის სააპელაციო სასამართლოს
ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა

თავმჯდომარე - თეა ძიმისტარაშვილი
მოსამართლეები - მერაბ ლომიძე
გიორგი ტყავაძე

სხდომის მდივანი - ნათია ზანდუკელი

აპელანტი (მოპასუხე) - საქართველოს პრეზიდენტი
წარმომადგენელი - ფ. ზ.

აპელანტები (მოსარჩელები) - გ. ტ., ს. ტ.
გ. ტ.-ს და ს. ტ.-ს კანონიერი წარმომადგენელი - ი. ტ.

მოწინააღმდეგე მხარე (მოპასუხე) - საქართველოს იუსტიციის სამინისტრო
წარმომადგენელი - დ. კ.

მოწინააღმდეგე მხარე (მოპასუხე) - სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო
წარმომადგენელი - მ. ც.

დავის საგანი - ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობა, ქმედების განხორციელება, ზიანის ანაზღაურება

გასაჩივრებული გადაწყვეტილება - თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 16 ივლისის გადაწყვეტილება

აპელანტების გ. ტ.-ს და ს. ტ.-ს მოთხოვნა - თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 16 ივლისის გადაწყვეტილების ნაწილობრივ გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის სრულად დაკმაყოფილება.



აპელანტის საქართველოს პრეზიდენტის მოთხოვნა - თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 16 ივლისის გადაწყვეტილების ნაწილობრივ გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა

2. გასაჩივრებული გადაწყვეტილების დასკვნებზე მითითება: გასაჩივრებული გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 16 ივლისის გადაწყვეტილებით გ. ტ.-ს და ს. ტ.-ს სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ. სადავო საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად იქნა ცნობილი საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს 2012 წლის 03 მაისის №XXXXXXXXXX და №XXXXXXXXX დასკვნები ს. და გ. ტ.-ებისათვის საქართველოს მოქალაქეობის შეწყვეტის თაობაზე, საქართველოს პრეზიდენტის 2012 წლის XX მაისის №XXX ბრძანებულება ს. ტ.-სა და გ. ტ.-სათვის საქართველოს მოქალაქეობის შეწყვეტის ნაწილში და დაევალა საქართველოს პრეზიდენტსა და საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს, საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებათა შესწავლისა და გამოკვლევის შემდეგ გამოსცენ ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები სადავო საკითხთან დაკავშირებით. დანარჩენ ნაწილში სარჩელის დაკმაყოფილებაზე მოსარჩელებს ეთქვათ უარი.

დასკვნები ფაქტობრივ გარემოებებთან დაკავშირებით:

2.1. მოსარჩელები - გ. და ს. ტ.-ები დაიბადნენ რუსეთის ფედერაციაში, ქალაქ მოსკოვში 2010 წლის XX აგვისტოს (ს. ტ.) და 2008 წლის X ოქტომბერს (გ. ტ.), რომელთა მამა - ი. ტ. საქართველოს რესპუბლიკის, ხოლო დედა - რუსეთის ფედერაციის მოქალაქეა.

გ. და ს. ტ.-ები არიან დაბადებით რუსეთის ფედერაციის მოქალაქეები.

2.2 გ. და ს. ტ.-ების დაბადების, აგრეთვე სადავო აქტების გამოცემის დროისათვის მოსარჩელეთა მამა - ი. ტ. იყო საქართველოს მოქალაქე და მისი საცხოვრებელი ადგილი იყო ქალაქი თბილისი. იმის გათვალისწინებით, რომ მოსარჩელეთა ერთ-ერთი მშობელი, მამა - ი. ტ., მათი დაბადების დროისათვის იყო საქართველოს მოქალაქე და მას მუდმივი საცხოვრებელი ადგილი ჰქონდა საქართველოში, იმ დროს ძალაში მყოფი "საქართველოს მოქალაქეობის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის მე-12 მუხლის "ბ" პუნქტის შესაბამისად, გ. და ს. ტ.-ები ჩაითვალნენ იმავდროულად საქართველოს მოქალაქეებად, რაც ასევე დადასტურებული იქნა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს მიერ.

2.3. 2012 წლის 4 იანვარს, მოსარჩელეთა კანონიერმა წარმომადგენელმა, დედამ - ლ. ი.-მ განცხადებით მიმართა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სამოქალაქო რეესტრს და



მოითხოვა მისი შვილების - გ. და ს. ტ.-ებისათვის საქართველოს მოქალაქის პასპორტების გაცემა.

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს 2012 წლის 3 მაისის №XXXXXXXXXX და №XXXXXXXXXX დასკვნებით, გამომდინარე იქედან, რომ გ. და ს. ტ. იყვნენ იმავდროულად დაბადებით რუსეთის ფედერაციის მოქალაქეები და იმ დროს ძალაში მყოფი "საქართველოს მოქალაქეობის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 32-ე მუხლის „დ“ პუნქტის თანახმად, სხვა ქვეყნის მოქალაქეობის მიღება საქართველოს მოქალაქეობის დაკარგვის საფუძველი იყო, მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული გ. და ს. ტ.-ებისათვის საქართველოს მოქალაქეობის შეწყვეტა, რაც წარედგინა საქართველოს პრეზიდენტს. მითითებული დასკვნების საფუძველზე, საქართველოს პრეზიდენტმა 2012 წლის XX მაისს გამოსცა №XXX ბრძანებულება, მათ შორის, საქართველოს მოქალაქეების - გ. და ს. ტ.-ების საქართველოს მოქალაქეობის შეწყვეტის შესახებ.

2.4 მოსარჩელების - გ. და ს. ტ.-ების კანონიერმა წარმომადგენლებმა 2014 წლის 26 სექტემბერს საჩივრით მიმართეს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს და მოითხოვეს გ. და ს. ტ.-ებისათვის მოქალაქეობის შეწყვეტის მიზანშეწონილობის თაობაზე სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს დასკვნების ბათილად ცნობა და მათზე საქართველოს მოქალაქის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტების გაცემა, რაზეც 2015 წლის 12 იანვარს საქართველოს იუსტიციის სამინისტროსაგან მიიღო საჩივრის განხილვაზე უარის თაობაზე №XXX წერილი.

დასკვნები სამართლებრივ გარემოებებთან დაკავშირებით:

საქალაქო სასამართლომ განმარტა შემდეგი:

2.5. საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის პირველი პუნქტი, აგრეთვე ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის 1950 წლის 4 ნოემბრის კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პუნქტი ყოველ ადამიანს აძლევს შესაძლებლობას თავის უფლებათა და თავისუფლებათა დასაცავად მიმართოს სასამართლოს.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სარჩელი შეიძლება აღიძრას ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის მოთხოვნით.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი არის, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციული კანონმდებლობის საფუძველზე გამოცემული ინდივიდუალური სამართლებრივი აქტი, რომელიც აწესებს, ცვლის, წყვეტს ან ადასტურებს პირის ან პირთა შეზღუდული წრის უფლებებსა და მოვლევებს. ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტად ჩაითვლება ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება მის უფლებამოსილებას მიკუთვნებული საკითხის დაკმაყოფილებაზე განმცხადებლისათვის უარის თქმის



შესახებ, ასევე ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გამოცემულ ან დადასტურებული დოკუმენტი, რომელსაც შეიძლება მოჰყვეს სამართლებრივი შედეგები.

აღნიშნული ნორმის დეფინიციის შესაბამისად, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გამოცემული დოკუმენტის ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტად მიჩნევისათვის აუცილებელია, რომ იგი ფორმალურ-სამართლებრივი თვალსაზრისით აკმაყოფილებდეს აღნიშნულ იმპერტიული-ნორმატიულ მოთხოვნებს და შეიცავდეს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ყველა ელემენტს, კერძოდ: სადავო ურთიერთობის ერთ-ერთი მხარე უნდა იყოს ადმინისტრაციული ორგანო, სადავო სამართლებრივი ურთიერთობა უნდა გამომდინარეობდეს ადმინისტრაციული (საჯარო) სამართლის კანონმდებლობიდან და ადმინისტრაციული ორგანოს ღონისძიება მიმართული უნდა იყოს კონკრეტული შემთხვევის მოწესრიგებისა და არსებული სამართლებრივი მდგომარეობის შეცვლისაკენ, ანუ იგი უნდა აწესებდეს, ცვლიდეს, წყვეტდეს ან ადასტურებდეს პირის სამართლებრივ მდგომარეობას.

ამრიგად, სასამართლო მიიჩნევს, რომ მოსარჩელეთა მიერ სადავოდ ქცეული საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს 2012 წლის XX მაისის №XXXXXXXXXX და №XXXXXXXXXX დასკვნები ს. და გ. ტ.-ებისათვის საქართველოს მოქალაქეობის შეწყვეტის თაობაზე, ასევე ამ დასკვნების საფუძველზე საქართველოს პრეზიდენტის მიერ გამოცემული ბრძანებულება მოსარჩელების - გ. და ს. ტ.-ებისათვის საქართველოს მოქალაქეობის შეწყვეტის შესახებ, წარმოადგენენ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებს და საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „ა“ პუნქტიდან გამომდინარე, დავის განხილვისას უნდა შემოწმდეს მათი შესაბამისობა „საქართველოს მოქალაქეობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი აქტის გამოცემის მომწესრიგებელ შესაბამის ნორმებთან და სხვა საკანონმდებლო თუ კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების დებულებებთან.

სასამართლო ასევე განმარტავს, რომ მართალია, გასაჩივრებული აქტები მოსარჩელის კანონიერ წარმომადგენელს ფოსტის მეშვეობით გაეგზავნა და ჩაბარდა 2012 წლის 28 მაისს, თუმცა ასევე უდავოა, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის



52-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, წერილობითი ფორმით გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში უნდა მიეთითოს ის ორგანო, რომელშიც შეიძლება ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გასაჩივრება, მისი მისამართი და საჩივრის წარდგენის ვადა. ვინაიდან, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი არაფერს ამბობს ამ მოთხოვნის დარღვევის სამართლებრივ შედეგებზე, შესაძლებელია საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-12 მუხლის ადმინისტრაციული აქტის გამოცემის პროცესზე გავრცელება, რომლის თანახმადაც, გასაჩივრების ვადის დინება დაიწყება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ პროცესის მონაწილე პირს სასამართლო აქტით განემარტა გასაჩივრების შესაძლებლობა, სასამართლო, სადაც შეიძლება გასაჩივრება, მისი ადგილმდებარეობა, გასაჩივრების ვადა და წესი. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, თუ მხარეს არ ეცნობა გასაჩივრების უფლების შესახებ ან ეცნობა ამ მუხლის პირველ ნაწილში აღნიშნული რომელიმე მოთხოვნის დარღვევით, მაშინ გასაჩივრება შეიძლება სასამართლოს აქტის გამოტანიდან ერთი წლის განმავლობაში. მოცემულ შემთხვევაში, დადგენილია, რომ სადავო აქტებში გასაჩივრების წესი არ არის განმარტებული (არ არის მითითებული ის ორგანო, რომელშიც შეიძლება მისი გასაჩივრება, მისი მისამართი, გასაჩივრების ვადა). ამასთან, საქმის მასალებით დადასტურებულია, რომ მოსარჩელეთა კანონიერმა წარმომადგენლებმა არაერთ ადმინისტრაციულ ორგანოს მიმართეს მათი არასრულწლოვანი შვილების დარღვეული უფლებების აღდგენის მოთხოვნით, რაც სასამართლოს ანიჭებს უფლებამოსილებას დასაშვებად მიიჩნიოს სარჩელი და არსებითად განიხილოს იგი.

2.6. საქართველოს კონსტიტუციის მე-12 მუხლის პირველი პუნქტი საქართველოს მოქალაქეობის მოპოვებას დაბადებას და ნატურალიზაციას უკავშირებს, ხოლო იმავე მუხლის მე-3 პუნქტი საქართველოს მოქალაქეობის მიღებისა და დაკარგვის წესის სამართლებრივი რეგლამენტაციისათვის ორგანულ კანონს ითვალისწინებს.

საქართველოს პრეზიდენტის სადავოდ ქცეული ბრძანებულების გამოცემის დროისათვის მოქმედი "საქართველოს მოქალაქეობის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის პრეამბულის თანახმად, მოქალაქეობა ნიშნავს პირის პოლიტიკურ სამართლებრივ კავშირს საქართველოს სახელმწიფოსთან, რაც გამოიხატება ურთიერთსანაცვლო უფლება-მოვალეობათა ერთიანობით, ემყარება ადამიანის ღირსების პატივისცემას, მისი უფლებებისა და თავისუფლებების აღიარებას და იმავე კანონის მე-2 მუხლის შესაბამისად, საქართველოში ამ კანონით დადგენილი წესით ყოველ ადამიანს აქვს საქართველოს მოქალაქეობის უფლება. არავის არ შეიძლება შეეზღუდოს მოქალაქეობის შეცვლის უფლება, გარდა ამ კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა და არავის არ შეიძლება ჩამოერთვას საქართველოს მოქალაქეობა.

ამრიგად, მოქალაქეობა, როგორც პირის თავისუფალი ნების საფუძველზე დამყარებული ორმხრივი სამართლებრივი და პოლიტიკური ურთიერთობა წარმოადგენს პირის უფლებას და მისი რეალიზაციის შედეგს, რომელიც თავის მხრივ, წარმოშობს



საქართველოს კონსტიტუციით და კანონმდებლობით გარანტირებულ მთელ რიგ უფლებებსა და მოვალეობებს.

საქართველოს პრეზიდენტის სადავოდ ქცეული ბრძანებულების გამოცემის დროისათვის მოქმედი "საქართველოს მოქალაქეობის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის მე-12 მუხლის "ბ" პუნქტის შესაბამისად, მშობლების სხვადასხვა მოქალაქეობისას, თუ ბავშვის დაბადების მომენტისათვის ერთ-ერთი მათგანი საქართველოს მოქალაქეა, ბავშვი ითვლება საქართველოს მოქალაქედ, თუ ბავშვი დაიბადა საქართველოს ფარგლებს გარეთ, მაგრამ მის ერთ-ერთ მშობელს მუდმივი საცხოვრებელი აქვს საქართველოს ტერიტორიაზე.

საქმეში არსებული მასალები ადასტურებენ და მხარეები სადავოდ არ ხდიან იმ გარემოებას, რომ მოსარჩელები - გ. და ს. ტ.-ები, რომლებიც დაიბადნენ საქართველოს ფარგლებს გარეთ, რუსეთის ფედერაციის ტერიტორიაზე, იმის გამო, რომ მათი მამა იყო საქართველოს მოქალაქე და მას მუდმივი საცხოვრებელი ადგილი ჰქონდა საქართველოში, ჩაითვალნენ საქართველოს მოქალაქეებად და მათი დაბადების ადგილის გათვალისწინებით, რუსეთის ფედერაციის კანონმდებლობის შესაბამისად, ასევე ჩაითვალნენ რუსეთის ფედერაციის მოქალაქეებად.

საქართველოს კონსტიტუციის მე-12 მუხლის მე-2 პუნქტი და საქართველოს პრეზიდენტის სადავოდ ქცეული ბრძანებულების გამოცემის დროისათვის მოქმედი "საქართველოს მოქალაქეობის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის პირველი მუხლი საქართველოში იმპერატიულად ადგენს ერთიან მოქალაქეობას, რაც იმას ნიშნავს, რომ საქართველოს მოქალაქე იმავდროულად არ შეიძლება იყოს სხვა სახელმწიფოს მოქალაქე, გარდა საქართველოს კონსტიტუციით დადგენილი გამონაკლისი შემთხვევისა და აქედან გამომდინარე, იმავე კანონის 32-ე მუხლის პირველის პუნქტის "დ" ქვეპუნქტი საქართველოს მოქალაქეობის დაკარგვის ერთ-ერთ საფუძვლად საქართველოს მოქალაქის მიერ სხვა სახელმწიფოს მოქალაქეობის მიღებას ითვალისწინებს, რაც მოსარჩელების - გ. და ს. ტ.-ებისათვის საქართველოს მოქალაქეობის შეწყვეტის სამართლებრივ საფუძვლად იქნა გამოყენებული.

სასამართლო განმარტავს, რომ საქართველოს მოქალაქეობის დაკარგვის თაობაზე აღნიშნული ნორმა გულისხმობს საქართველოს მოქალაქის მიერ შემდგომ, მისი თავისუფალი ნების საფუძველზე უცხო სახელმწიფოს მოქალაქეობის მიღებას (მოპოვებას), რაც შეუთავსებელს ხდის მისი უცხო სახელმწიფოს მოქალაქეობას საქართველოს მოქალაქეობასთან და ეს მოქალაქეობის, როგორც უფლების ნებაყოფლობით დათმობად განიხილება. მოქალაქეობის დაკარგვას პირის მიერ განხორციელებულ ქმედებას (გამოვლენილ ნებას) და დამდგარ შედეგს შორის მიზეზ-შედეგობრიობა ახასიათებს, რაც მას მოქალაქეობის ჩამორთმევისაგან განასხვავებს.

სასამართლო აღნიშნავს, რომ განსახილველ შემთხვევაში მოსარჩელებს - გ. და ს. ტ.-ებს მათი ნებისაგან დამოუკიდებლად, დაბადების, როგორც



ობიექტურად არსებული იურიდიული ფაქტის საფუძველზე ერთდროულად მიენიჭათ საქართველოს მოქალაქეობა და უცხო სახელმწიფოს მოქალაქეობა და მიუხედავად იმისა, რომ წარმოიშვა მათი მოქალაქეობრივი შეუთავსებლობა, მოცემულ შემთხვევაში გადამწყვეტი იყო მათი კანონიერი წარმომადგენლების მიერ ნების გამოხატვა საქართველოს მოქალაქეობის დათმობის, ან უცხო სახელმწიფოს მოქალაქეობაზე უარის თქმის გზით საქართველოს მოქალაქეობის შენარჩუნების შესახებ, რაც არ შეეწინააღმდეგებოდა საქართველოს კონსტიტუციისა და ორგანული კანონის ერთიანი მოქალაქეობის შესახებ იმპერატიულ დანაწესს, რამდენადაც მოსარჩელეთა მიერ შესაბამისი ნების გამოხატვის შემდეგ მოცემული დანაწესი აღსრულდებოდა. ნორმის სხვაგვარად გაგების შემთხვევაში, საქართველოს პრეზიდენტის სადავოდ ქცეული ბრძანებულების გამოცემის დროისათვის მოქმედი "საქართველოს მოქალაქეობის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის მე-12 მუხლის "ზ" პუნქტით დადგენილი ნორმა მხოლოდ ფიქცია იქნებოდა და მის საფუძველზე, პირების მიერ ე.წ. "სისხლის პრინციპით" (ნათესაური კავშირის საფუძველზე) მიღებული მოქალაქეობის უფლება დაცვის ღირსი გარანტიებით ვერ ისარგებლებდა, რამდენადაც უმრავლესი ქვეყნების კანონმდებლობა ასევე ითვალისწინებს შესაბამისი ქვეყნის მოქალაქეობის ე.წ. "ნიადაგის პრინციპის" ე.ი. დაბადების საფუძველზე მიღებას.

საქართველოს კონსტიტუციის მე-13 მუხლის პირველი პუნქტი საქართველოს სახელმწიფოს ავალდებულებს მფარველობა გაუწიოს თავის მოქალაქეებს განურჩევლად მათი ადგილსამყოფელისა, რაც უპირველეს ყოვლისა სახელმწიფოს ნეგატიური თვალსაზრისით უკრძალავს მოქალაქის უფლებაში დაუსაბუთებელ, თვითნებურ ჩარევას, ხოლო პოზიტიური თვალსაზრისით სახელმწიფოს ავალდებულებს საქართველოს მოქალაქეს თავისი უფლებების სრულყოფილად განხორციელებაში შეუწყოს ხელი. საქართველოს კონსტიტუციით და ორგანული კანონით დაწესებული მოქალაქეობის ჩამორთმევის ზემოთ აღნიშნული აკრძალვა კანონმდებლობით გათვალისწინებული სათანადო საფუძველებისა და წესების უფლებელყოფით, მოქალაქეობის შეწყვეტას გულისხმობს.

სასამართლო აგრეთვე მიუთითებს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ მიღებულ "ბავშვის უფლებათა კონვენცია"-ზე, რომლის პირველი მუხლი ბავშვად მიიჩნევს 18 წლამდე ასაკი ყოველ ადამიანს. დადგენილია და მხარეები არ დავობენ იმ გარემოებაზე, რომ მოსარჩელები - გ. და ს. ტ.-ები არიან 18 წლამდე ასაკის პირები.

"ბავშვის უფლებათა კონვენციის" მე-3 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, ბავშვის მიმართ ნებისმიერ ქმედებათა განხორციელებისას, მიუხედავად იმისა, თუ ვინ არის მათი განმახორციელებელი - სახელმწიფო თუ კერძო დაწესებულებები, რომლებიც მუშაობენ სოციალური უზრუნველყოფის საკითხებზე, სასამართლოები



ადმინისტრაციული თუ საკანონმდებლო ორგანოები - უპირველესი ყურადღება ეთმობა ბავშვის ინტერესების დაცვის უკეთ უზრუნველყოფას.

საქმეში არსებული მასალები ადასტურებენ იმ გარემოებას, რომ მოსარჩელეთა მამა - ი. ტ. საქართველოს მოქალაქეა და იგი მეუღლესთან და შვილებთან ერთად მუდმივად ცხოვრობს საქართველოში და ასეთ პირობებში მისი არასრულწლოვანი შვილებისათვის საქართველოს მოქალაქეობის უპირობოდ, მათი კანონიერი წარმომადგენლების ნების გამოკვლევის გარეშე შეწყვეტა, დიდი ალბათობით ბავშვების ინტერესების უკეთ დაცვას ვერ უზრუნველყოფდა.

”ბავშვის უფლებათა კონვენციის” მე-9 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, მონაწილე სახელმწიფოები ვალდებულია იღებენ პატივის სცენ ბავშვის უფლებას, შეინარჩუნოს თავისი ინდივიდუალობა, მოქალაქეობის, სახელისა და ოჯახური კავშირების ჩათვლით, როგორც ეს გათვალისწინებულია კანონით და არ დაუშვან ამაში კანონსაწინააღმდეგო ჩარევა, ხოლო იმავე კონვენციის” მე-9 მუხლის პირველ პუნქტის თანახმად, მონაწილე სახელმწიფოები უზრუნველყოფენ, რომ ბავშვი არ დაშორდეს თავის მშობლებს მათი სურვილის საწინააღმდეგოდ და ზემოთ აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით არასრულწლოვანი მოსარჩელებისათვის - გ. და ს. ტ.-ებისათვის მოქალაქეობის უპირობოდ შეწყვეტა, მათი მშობლებთან თუნდაც, მცირე დროით დაშორების საფრთხეებს შეიცავს.

საქართველოს პრეზიდენტის სადავოდ ქცეული ბრძანებულების გამოცემის დროისათვის მოქმედი ”საქართველოს მოქალაქეობის შესახებ” საქართველოს ორგანული კანონის 36-ე მუხლის შესაბამისად, საქართველოს მოქალაქეობის საკითხებზე განცხადებასა და წარდგინებას განიხილავს და შესაბამის დასკვნას ამზადებს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სამოქალაქო რეესტრის სააგენტო, ხოლო თუ სააგენტოსათვის ცნობილი გახდება საქართველოს მოქალაქეობის დაკარგვის საფუძვლების არსებობა იგი ადგენს შესაბამის დასკვნას მოქალაქეობის დაკარგვის საკითხის თაობაზე და მასალებს წარუდგენს საქართველოს პრეზიდენტს, რის საფუძველზეც საქართველოს პრეზიდენტი გამოსცემს შესაბამის აქტს.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის, პირველი ნაწილი ადმინისტრაციულ ორგანოებს იმისათვის, რომ მათი გადაწყვეტილება არ აღიქმებოდეს თვითნებურად, ავალდებულებს ადმინისტრაციული წარმოებისას გამოიკვლიოს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება და გადაწყვეტილება მიიღოს ამ გარემოებათა შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე.

საქმეში არსებული მასალებით დადგენილია და მხარეები სადავოდ არ ხდიან იმ გარემოებას, რომ მოსარჩელების - გ. და ს. ტ.-ებისათვის მოქალაქეობის შეწყვეტის თაობაზე ადმინისტრაციული წარმოებისას და შესაბამისი დასკვნების მომზადებისას მოპასუხე - სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს არ გამოუკვლევია



საქმისათვის ისეთი გადაწყვეტი მნიშვნელობის მქონე გარემოება, როგორც არის მოსარჩელების - გ. და ს. ტ.-ების კანონიერი წარმომადგენლების ნება და მზაობა დაეთმო უცხო სახელმწიფოს მოქალაქეობა საქართველოს მოქალაქეობის შენარჩუნების მიზნით, რაც მას შეეძლო დაინტერესებული მხარისათვის მოსმენით და შესაბამის ვადის განსაზღვრით სათანადო ღონისძიებების განსახორციელებლად.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 97-ე მუხლის მიხედვით, საქმის გარემოებების გამოკვლევის მიზნით ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია გამოითხოვოს დოკუმენტები, მოუსმინოს დაინტერესებულ მხარეებს, შეაგროვოს ცნობები და ა.შ.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, თუ სასამართლო მიიჩნევს, რომ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ - სამართლებრივი აქტი გამოცემულია საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის გარემოების გამოკვლევისა და შეფასების გარეშე, იგი უფლებამოსილია სადავო საკითხის გადაწყვეტლად ბათილად ცნოს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი და დაავალოს ადმინისტრაციულ ორგანოს, ამ გარემოებათა გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ გამოსცეს ახალი.

სასამართლო აღნიშნავს, რომ 2014 წლის 30 აპრილის "საქართველოს მოქალაქეობის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 24-ე მუხლის შესაბამისად, მოქალაქეობის დაკარგვის საკითხზე დასკვნას ამზადებს სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო და მისი დასკვნის საფუძველზე გამოსცემს შესაბამის აქტს საქართველოს პრეზიდენტი, რაც ნიშნავს იმას, რომ ასეთი სახის აქტის გამოცემისას სათანადო წარმოების განუყოფელი პროცესი არის სააგენტოს მიერ საქმის გარემოებების გამოკვლევა, რის გამოც სადავო საკითხის გადაწყვეტლად ბათილად უნდა იქნეს ცნობილი საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს 2012 წლის XX მაისის №XXXXXXXXXX და №XXXXXXXXXX დასკვნები ს. და გ. ტ.-ებისათვის საქართველოს მოქალაქეობის შეწყვეტის თაობაზე, საქართველოს პრეზიდენტის 2012 წლის XX მაისის №XXX ბრძანებულება ს. ტ.-სა და გ. ტ.-სათვის საქართველოს მოქალაქეობის შეწყვეტის ნაწილში და დაევალოს საქართველოს პრეზიდენტსა და საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს, საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე ზემოაღნიშნული გარემოებათა შესწავლისა და გამოკვლევის შემდეგ, გამოსცენ ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები სადავო საკითხთან დაკავშირებით.

რაც შეეხება სარჩელის მოთხოვნას დაევალოს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს გ. ტ.-ზე და ს. ტ.-ზე გასცეს



საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობა და საქართველოს მოქალაქის პასპორტი, ამ ეტაპზე არ არსებობს მისი დაკმაყოფილების საფუძველი, რამეთუ სასამართლო დავალების შესაბამისად, მოპასუხეთა მიერ საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებათა გამოკვლევის საფუძველზე უნდა გადაწყდეს მათი მოქალაქეობის საკითხი და მხოლოდ აღნიშნულის შემდეგ იქნება ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილი იმსჯელოს საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობისა და პასპორტის გაცემის საკითხზე, რაც ამ ეტაპზე შეუძლებელია. ამდენად, ამ ნაწილში სარჩელის დაკმაყოფილებაზე მოსარჩელებს უნდა ეთქვათ უარი.

2.7. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-80 მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, თუ განცხადებაში აღნიშნული საკითხი სასამართლოს განსჯადია ადმინისტრაციული ორგანო განცხადებას შესაბამისი დასაბუთებით დაუბრუნებს განმცხადებელს მისი შეტანიდან 5 დღის განმავლობაში. ამავე საკანონმდებლო აქტის 178-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, ადმინისტრაციული ორგანოს ხელმძღვანელი თანამდებობის პირის მიერ გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის თაობაზე წარდგენილ საჩივარს განიხილავს და გადაწყვეტს ზემოდგომი ადმინისტრაციული ორგანო.

”საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ” საქართველოს კანონის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საჯარო სამართლის იურიდიული პირი არის შესაბამისი კანონით, საქართველოს მთავრობის დადგენილებით, ან კანონის საფუძველზე სახელმწიფო მმართველობის ორგანოებისაგან განცალკევებული ორგანიზაცია, რომელიც სახელმწიფოს კონტროლით დამოუკიდებლად ახორციელებს პოლიტიკურ, სახელმწიფოებრივ, სოციალურ, საგანმანათლებლო, კულტურულ და სხვა საჯარო საქმიანობას.

ამრიგად, საჯარო სამართლის იურიდიული პირი და შესაბამისად, სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო, თავის საქმიანობას დამოუკიდებლად, სახელმწიფოს კონტროლით ახორციელებს და შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის სამინისტრო მის ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოდ ვერ ჩაითვლება.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5 მუხლი ადმინისტრაციულ ორგანოებს თავისი საქმიანობის მხოლოდ კანონის შესაბამისად განხორციელებას ავალდებულებს.

ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის საფუძველზე განსაზღვრავს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი, რომლის მე-60¹ მუხლის, პირველი ნაწილის შესაბამისად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ბათილია, თუ იგი ეწინააღმდეგება კანონს ან არსებითად არის დარღვეული მისი მიღების ან მომზადების საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები.



სასამართლომ აღნიშნა, რომ მოსარჩელეთა კანონიერი წარმომადგენლების საჩივართან დაკავშირებით საქართველოს იუსტიციის სამინისტროს 2015 წლის XX იანვრის №XXX წერილი არ ეწინააღმდეგება რა კანონს და არც არსებითად არის დარღვეული მისი მომზადებისა და გამოცემის კანონით დადგენილი მოთხოვნები, არ არსებობს მისი ბათილად ცნობის სამართლებრივი საფუძვლები. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელებს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს 2015 წლის XX იანვრის №XXX წერილის ბათილად ცნობის შესახებ სარჩელის მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უნდა ეთქვას უარი.

2.8. საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-9 პუნქტით ყველასთვის გარანტირებულია სახელმწიფო მოსამსახურეთაგან უკანონოდ მიყენებული ზარალის სასამართლო წესით სრული ანაზღაურება შესაბამისად სახელმწიფო სახსრებიდან.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 207-ე მუხლის მიხედვით, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურებისას გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსით დადგენილი წესით, ხოლო იმავე კოდექსის 208-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, სახელმწიფო ადმინისტრაციული ორგანოს მიერ, აგრეთვე მისი თანამდებობის პირის ან სხვა სახელმწიფო მოსამსახურის მიერ მისი სამსახურებრივი მოვალეობის განხორციელებისას მიყენებული ზიანისათვის პასუხისმგებელია სახელმწიფო.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლის თანახმად, პირი, რომელიც სხვა პირს მართლსაწინააღმდეგო, განზრახი ან გაუფრთხილებელი მოქმედებით მიაყენებს ზიანს, ვალდებულია აუნაზღაუროს მას ეს ზიანი; ამავე კოდექსის 1005-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, თუ სახელმწიფო მოსამსახურე განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობით არღვევს თავის სამსახურებრივ მოვალეობას სხვა პირთა მიმართ, მაშინ სახელმწიფო ან ის ორგანო, რომელშიც მოსამსახურე მუშაობს ვალდებულია აანაზღაუროს დამდგარი ზიანი.

სასამართლო ასევე განმარტავს, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის თანახმად, თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს. საქმის გარემოებები, რომლებიც კანონის თანახმად უნდა დადასტურდეს გარკვეული სახის მტკიცებულებებით, არ შეიძლება დადასტურდეს სხვა სახის მტკიცებულებებით. მოცემულ შემთხვევაში მოსარჩელები სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოსათვის მიყენებული ზიანი - მათ მიერ გაწეული სამედიცინო მომსახურების ხარჯის - 566 ლარის ოდენობით ანაზღაურებას ითხოვენ იმ მოტივით, რომ მოპასუხის უკანონო ქმედებიდან გამომდინარე მათ, როგორც საქართველოს მოქალაქეობის დამადასტურებელი საბუთის არქმონე პირებმა, ვერ ისარგებლებს დამტკიცებული უფასო აცრებისა და სამედიცინო და სადაზღვევო მომსახურების და საყოველთაო



ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამით სახელმწიფო სადაზღვევო პროგრამების ფარგლებში, თუმცა წარმოდგენილი მტკიცებულებებით მოსარჩელეებმა ვერ დაადასტურეს რიგ შემთხვევებში ქვითრებში მითითებული მომსახურების სახე, ასევე მითითებული მომსახურების საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამით სახელმწიფო სადაზღვევო პროგრამების ფარგლებში არსებობის ფაქტი. ამდენად, სარჩელის მოთხოვნა მიყენებული ზიანის - 566 ლარის მოპასუხე სერვისების განვითარების სააგენტოსათვის დაკისრების შესახებ დაუსაბუთებელია, არ არის გამყარებული შესაბამისი მტკიცებულებებით და არ უნდა აკმაყოფილდეს.

3. საქართველოს პრეზიდენტის სააპელაციო საჩივრის საფუძვლები ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძვლები:

3.1. აპელანტი მიიჩნევს, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება იურიდიულად არ არის საკმარისად დასაბუთებული, ამასთან, მისი დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ შეუძლებელია მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება, შემდეგ გარემოებათა გამო: თავდაპირველად უნდა აღინიშნოს, რომ სასარჩელო განცხადება ხანდაზმულია, რის გამოც მასზე დაწყებული საქმის წარმოება უნდა შეწყდეს, ვინაიდან, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, სარჩელი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის მოთხოვნით წარდგენილ უნდა იქნეს სასამართლოში ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გაცნობიდან ერთი თვის ვადაში. მოცემულ შემთხვევაში, როგორც სარჩელზე თანდართული მასალებით - თავად სასარჩელო განცხადებით, შესაგებლით და მასზე თანდართული გაგზავნისა და ჩაბარების დასტურით დგინდება, საქართველოს პრეზიდენტის სადავო ბრძანებულებები გ. და ს. ტ. ებისათვის მოქალაქეობის შეწყვეტის შესახებ მოსარჩელეთა კანონიერ წარმომადგენელს ჩაბარდა 2012 წლის 28 მაისს, ხოლო სარჩელი მისი ბათილად ცნობის მოთხოვნით სასამართლოში წარადგინა 2014 წლის 20 ნოემბერს, ანუ ერთ თვიანი ვადის გასვლის შემდეგ. საგულისხმოა, რომ აღნიშნული გარემოება, თავად მოსარჩელებსაც არ გაუხდიათ სადავოდ, თუმცა მიუხედავად აღნიშნულისა, პირველი ინსტანციის სასამართლომ არ გაითვალისწინა აღნიშნული გარემოება და არ შეწყვიტა საქმის წარმოება. მიღებული გადაწყვეტილების დასაბუთებისთვის კი გამოიყენა (თუმცა აღნიშნულზე არ მიუთითა) კანონის ანალოგია, იხელმძღვანელა რა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-12 მუხლის მე-2 ნაწილით. ამ შემთხვევაში მიგვაჩნია, რომ სასამართლომ არასწორად განმარტა კანონის ზემოხსენებული ნორმა, რადგან, თავდაპირველად უნდა აღინიშნოს, რომ ხსენებულ მუხლში საუბარია, არა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გასაჩივრების, არამედ სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრების ვადასა და წესზე, ხოლო თავად საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი და არც ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი არ



ითვალისწინებს ისეთ შემთხვევას, როდესაც პირს შესაძლებელია მიეცეს განუსაზღვრელი ვადა მისი უფლების რეალიზაციისთვის, რაზეც პრაქტიკულად სასამართლომ მიუთითა. სააპელაციო სასამართლოს ყურადღება უნდა გამახვილდეს იმ გარემოებაზე, რომ იმ შემთხვევაშიც კი თუ ჩათვლება, რომ ასეთ დროს გამოყენებული უნდა იქნას ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-12 მუხლის მე-2 ნაწილით დადგენილი წესი (ანუ შემთხვევა, როდესაც აქტში არ არის მითითებული გასაჩივრების ვადა და წესი) მოსარჩელები ვალდებულნი იყვნენ სასამართლოსთვის მიემართათ არაუგვიანეს 2013 წლის 28 მაისისა, ერთი წლის ვადაში და არა 2014 წლის 20 ნოემბერს, 2 წლისა და 6 თვის შემდეგ. ამდენად, მიგვაჩნია, რომ სასარჩელო მოთხოვნა არის ხანდაზმული და მასზე დაწყებული საქმის წარმოება უნდა შეწყდეს.

რაც შეეხება სარჩელის მატერიალურ მხარეს - სადავო ურთიერთობის დროს მოქმედი „საქართველოს მოქალაქეობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 32-ე მუხლის „დ“ პუნქტის თანახმად, ამ კანონის შესაბამისად პირი დაკარგავს საქართველოს მოქალაქეობას, თუ მიიღებს სხვა სახელმწიფოს მოქალაქეობას. ამავე კანონის 33-ე მუხლის „დ“ პუნქტის თანახმად, საქართველოს პრეზიდენტი უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება საქართველოს მოქალაქეობის დაკარგვის თაობაზე. ხსენებული კანონის 35-ე მუხლის თანახმად, წარდგინება საქართველოს მოქალაქეობის დაკარგვის თაობაზე სააგენტოში შეაქვთ სასამართლოს, პროკურატურას, შინაგან საქმეთა სამინისტროს და საგარეო საქმეთა სამინისტროს, ხოლო სხვა სახელმწიფოში მცხოვრებ საქართველოს მოქალაქეთა მიმართ - შესაბამის დიპლომატიურ წარმომადგენლობას ან საკონსულო დაწესებულებას, რის შემდეგ სააგენტო განიხილავს წარდგინებას და ამზადებს შესაბამის დასკვნას, რომელიც ამავე კანონისა და იმ დროს მოქმედი „საქართველოს მოქალაქეობის საკითხებზე განცხადებისა და წარდგინების განხილვის წესის თაობაზე“ დებულების მე-13 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, გადაწყვეტილების მისაღებად გადაეგზავნება საქართველოს პრეზიდენტს. ამავდროულად, ხსენებული კანონის 36-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, თუ სააგენტოსთვის ამ კანონის 35-ე მუხლში მითითებულ უწყებათა მიერ წარდგინების შეტანის გარეშე გახდება ცნობილი პირის მიერ საქართველოს მოქალაქეობის დაკარგვის საფუძვლების არსებობა, იგი ამ მუხლის პირველი პუნქტით დადგენილი წესით განიხილავს მოქალაქეობის დაკარგვის საკითხს და და მასალებს წარუდგენს საქართველოს პრეზიდენტს.

ამასთან, ზემოხსენებული დებულების მე-14 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, საქართველოს მოქალაქეობის საკითხებზე საქართველოს პრეზიდენტის მიერ მიღებული გადაწყვეტილება შემდგომი რეაგირებისთვის ეგზავნება სააგენტოს, ხოლო მე-2 პუნქტის თანახმად, მოქალაქეობის საკითხებზე კანონმდებლობის მოთხოვნათა შესრულების კონტროლს ახორციელებს საქართველოს იუსტიციის



სამინისტრო. ზემოაღნიშნული ორგანული კანონის მე-12 მუხლის „ბ“ პუნქტის თანახმად, მშობლების სხვადასხვა მოქალაქეობისას, თუ ბავშვის დაბადების მომენტისთვის ერთ-ერთი მათგანი საქართველოს მოქალაქეა, ბავშვი ითვლება საქართველოს მოქალაქედ, თუ ბავშვი დაიბადა საქართველოს ფარგლებს გარეთ, მაგრამ მის ერთ-ერთ მშობელს მუდმივი საცხოვრებელი აქვს საქართველოს ტერიტორიაზე. ხსენებულ კანონში აღნიშნული ჩანაწერი გულისხმობს იმას, რომ პირი, მათ შორის არასრულწლოვანი არ შეიძლება დარჩეს მოქალაქეობის გარეშე, თუმცა იმ შემთხვევაში, როდესაც იგი მიიღებს სხვა ქვეყნის მოქალაქეობას, თავისთავად შეუწყდება საქართველოს მოქალაქეობა, რადგან საქართველოს კონსტიტუციის თანახმად, პირი იმავდროულად არ შეიძლება იყო სხვა ქვეყნის მოქალაქე.

პირველი ინსტანციის სასამართლომ სწორად დაადგინა, რომ მოსარჩელები **გ.** და **ს. ტ.-ები** დაიბადნენ რუსეთის ფედერაციაში - ქ.მოსკოვში და ვინაიდან, მათი მამა იყო საქართველოს მოქალაქე, ისინიც ჩაითვალები საქართველოს მოქალაქეებად, თუმცა შემდეგ დაბადების ადგილისა და რუსეთის ფედერაციის კანონმდებლობის მიხედვით მიიღეს რუსეთის მოქალაქეობა. რის გამოც წარმოიშვა მათი მოქალაქეობრივი შეუთავსებლობა. თუმცა, მიუხედავად ამისა, სასამართლო უთითებს რომ, ასეთ შემთხვევაში, სანამ მოქალაქეობის შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილება იქნებოდა მიღებული, გადამწყვეტი იყო მოსარჩელების კანონიერი წარმომადგენლების ნება - დაეთმოთ საქართველოს მოქალაქეობა, ან უარი ეთქვათ უცხო სახელმწიფოს მოქალაქეობაზე.

უნდა აღინიშნოს, რომ სასამართლოს ხსენებული განმარტება პირველ რიგში სცილდება კანონმდებლობის ფარგლებს, ვინაიდან, საქართველოს კონსტიტუცია და საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს მოქალაქეობის შესახებ“ შეიცავს იმპერატიულ დანაწესს იმის შესახებ, რომ თუ საქართველოს მოქალაქე მიიღებს სხვა ქვეყნის მოქალაქეობას, საქართველოს მოქალაქეობა წყდება. რაც შეეხება კანონიერი წარმომადგენლების ნების გამოხატვას, სწორედ მათი ნების გამოხატულების დასტურია ის, რომ ბავშვებმა მიიღეს რუსეთის მოქალაქეობა, ანუ მათ გააკეთეს არჩევანი - დათმეს საქართველოს მოქალაქეობა და მიიღეს რუსეთის. საგულისხმოა, ისიც, რომ მოსარჩელეთა კანონიერ წარმომადგენლებს არაერთხელ განემარტათ, რომ უფლება ჰქონდათ მიემართათ საქართველოს პრეზიდენტისათვის და მოეთხოვათ არასრულწლოვნებისთვის საქართველოს მოქალაქეობის საგამონაკლისო წესით მინიჭება, რაც არ იქნა მათ მიერ შესრულებული.

3. გ. ტ.-ს და ს. ტ.-ს კანონიერი წარმომადგენლის ი. ტ.-ს სააპელაციო საჩივრის საფუძვლები

ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძვლები:



3.2. აპელანტი მიიჩნევს, რომ გადაწყვეტილების აღწერილობითი ნაწილის 1.3 მუხლში სასამართლომ მიუთითა მოსარჩელის ერთ-ერთ მოთხოვნაზე - ბათილად იქნეს ცნობილი საქართველოს იუსტიციის სამინისტროს 2015 წლის XX იანვრის NXXX წერილი. თუმცა, მოსარჩელეს არ წაუყენებია ასეთი მოთხოვნა. მოსარჩელემ მოითხოვა - ეცნოთ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს XX.01.2015 NXXX პასუხი როგორც უკანონო, გამოცემული კანონის დარღვევით და არასათანადოდ განხილული.

სასამართლო გასცდა მოსარჩელის მოთხოვნის ფარგლებს და ამის საფუძველზე ფაქტობრივად ჩათვალა იუსტიციის სამინისტროს მოქმედებები როგორც კანონიერი.

სასამართლომ გამოიყენა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილი და მიუთითა, რომ ადმინისტრაციული აქტები გამოცემული იყო საქმისთვის არსებითი მნიშვნელობისა და გამოკვლევის გარეშე - ადმინისტრაციული აქტების მომზადებისა და გამოცემის წესის არსებითი დარღვევით და ცნო ბათილად.

მაგრამ, სასამართლომ არ გაითვალისწინა ის გარემოება, რომ სადავო საკითხი წინამდებარე საქმეში იყო ადმინისტრაციული საქმეების დარღვევით წარმოება და ამის საფუძველზე ადმინისტრაციული საქმეების ბათილად ცნობა. ზუსტად ის მოთხოვნები, რაც სასამართლომ სამართლიანად და სრულად დააკმაყოფილა - ანუ უკვე გადაწყვიტა სადავო საკითხი, რადგან სარჩელი წარმოადგენს ადმინისტრაციული აქტების ბათილად მოთხოვნას სასამართლომ დაასკვნა და დაადგინა ადმინისტრაციული აქტების მომზადებისა და გამოცემის დროს არსებითი დარღვევები. აქტების ბათილად ცნობისას იხელმძღვანელა საპროცესო კოდექსის 32.4 მუხლით და არა ადმინისტრაციული კოდექსის 60-1 მუხლით, რომელსაც მიუთითებდა მოსარჩელე თავის სარჩელში და რომელიც ეყრდნობა იმავე დარღვევებს და ასევე არის საკმარისი სამართლებრივი საფუძველი ადმინისტრაციული აქტების ბათილად ცნობისა ადმინისტრაციული ორგანოს იმავე დარღვევების შედეგად. ასე, სამართლებრივი შედეგი ორივე შემთხვევაში ერთია - აქტების ბათილად გამოცხადება დადგენილი დარღვევების გამო - გარდა იმისა, რომ მოპასუხეს დაევალა საქმისათვის მნიშვნელოვანი გარემოებების გამოკვლევა (აღსანიშნავია, რომ მოსარჩელე არ მოითხოვდა ამას თავის სარჩელში) და ახალი აქტების გამოცემა.

სასამართლომ იხელმძღვანელა საპროცესო კოდექსის 32.4 მუხლით და ადმინისტრაციულ ორგანოს დაავალა საქმისათვის ყველა არსებითი გარემოებების გამოკვლევა და ახალი ადმინისტრაციული აქტების გამოცემა. მაგრამ მოპასუხე კანონმდებლობის ნორმების თანახმად ისედაც არ არის შეზღუდული აწარმოოს ადმინისტრაციული საქმე და კანონის მოთხოვნების დაცვით გამოიკვლიოს ყველა არსებითი გარემოება ან გამოსცეს ადმინისტრაციული აქტები. მეტიც კი, ის ვალდებულია განახორციელოს აღნიშნული მოქმედებები სასამართლოს დავალებების გარეშეც კი. სასამართლომ თავის გადაწყვეტილებაში დაადასტურა მოსარჩელეების საქართველოს მოქალაქეობა რომელიც იყო მოპოვებული დაბადების მომენტში და არ



შემწყდარა, რადგან ადმინისტრაციული აქტები სასამართლომ სცნო ბათილად. რაც ნიშნავს იმას, რომ მოსარჩელები არიან საქართველოს მოქალაქეები.

საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობისა და პასპორტის გარეშე მოსარჩელების - საქართველოს მოქალაქეების, არასრულწლოვანი ბავშვების, უფლებები ირღვევა ყოველდღიურად; საქართველოს კანონმდებლობით გარანტირებული უფლებებით სარგებლობა და მოვალეობების შესრულება საქართველოს მოქალაქეების მიერ შესაძლოა მხოლოდ სათანადო საბუთების წარდგენის შემთხვევაში. კერძოდ, საქართველოს კანონის „საქართველოს მოქალაქეთა და საქართველოში მცხოვრებ უცხოელთა რეგისტრაციის, პირადობის (ბინადრობის) მოწმობისა და საქართველოს მოქალაქის პასპორტის გაცემის წესის შესახებ“: III-1 თავის 20-1 მუხლის მე-2 პუნქტის და 20-4 მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად.

საქართველოს რესპუბლიკის, „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ კანონის მე-5 მუხლის შესაბამისად დადგენილი წესით დამტკიცებული ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამებით გათვალისწინებული სამედიცინო დახმარებით შეიძლება ისარგებლონ მხოლოდ საქართველოს მოქალაქეებმა და საქართველოში სტატუსის მქონე მოქალაქეობის არმქონე პირებმა. იგივე მოთხოვნა ჩამოყალიბებულია 21/02/2013 N36 საქართველოს მთავრობის „საყოველთაო ჯანდაცვაზე გადასავლის მიზნით გასატარებელ ზოგიერთ ღონისძიებათა შესახებ დადგენილებაში.

სასამართლომ არ გაითვალისწინა, რომ საბუთების არ გაცემა იწვევს მოსარჩელების მიმოსვლის შეზუდვას, რაც ეწინააღმდეგება ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე-4 ოქმის მე-2 მუხლით გათვალისწინებულ უფლებებს.

ასევე, ყველგან, სადაც საჭიროა პირადი ნომრის ან პირადობის დამადასტურებელი საბუთის წარდგენა - უფლებით სარგებლობა შეუძლებელია.

სამართლებრივი შეფასების 6.4 მუხლში სასამართლო მიუთითებს, რომ „მოსარჩელებმა ვერ დაადასტურეს რიგ შემთხვევებში ქვითრებში მითითებული მომსახურების სახე, ასევე მითითებული მომსახურების საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამით სახელმწიფო სადაზღვევო პროგრამების ფარგლებში არსებობის ფაქტი“, რის საფუძველზეც მოსარჩელეს ზიანის ანაზღაურებაზე განეცხადა უარი.

მოსარჩელემ სარჩელში მიუთითა საქართველოს კანონის „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ მე-19 მუხლის მე-2 პუნქტი, ამავე კანონის მე-3.ზ-1 მუხლი.

ასევე, 21/02/2013 N36 საქართველოს მთავრობის „საყოველთაო ჯანდაცვაზე გადასავლის მიზნით გასატარებელ ზოგიერთ ღონისძიებათა შესახებ დადგენილების პირველი მუხლი. თან ერთვის „2013 წლის საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო



პროგრამის“ მე-6 მუხლი, აგრეთვე III თავის 22.1 მუხლი. რაც ნიშნავს იმას, რომ მოსარჩელეზე იმ პროგრამების გავრცელება, რომელიც არ საჭიროებს ვაუჩერის მატერიალიზებულ ფორმას ვერ დადასტურდება მატერიალური ვაუჩერის წარდგენით და საკმარისადაა დადასტურებული მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი ნორმების მოსარჩელეზე გავრცელებით. ზემოაღნიშნული კანონების მიხედვით დადგენილია სახელმწიფო ჯანმრთელობის პროგრამების მიღების, სარგებლობის და ადმინისტრირების წესი, და ასევე მათი მოცულობა. ასევე, აღნიშნული პროგრამების მიღების, სარგებლობის და ადმინისტრირების წესი და მათი მოცულობა.

ამგვარად, მოსარჩელეებს - საქარველოს მოქალაქეებს სრული უფლება ჰქონდათ ესარგებლათ კანონით დამტკიცებული პროგრამებით, ვაქცინირება უნდა ჩატარებულიყო უპირობოდ, არამატერიალური ვაუჩერის დაფინანსების მეშვეობით და თანაგადახდის გარეშე. აღნიშნული ავადმყოფობების საწინააღმდეგო ვაქცინა არის მითითებული 25.06.2010 N183/5 საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანებით „პროფილაქტიკური აცრების ეროვნული კალენდარის“ მე-3 და მე-5 მუხლებში და მათ შეიცავს სამედიცინო პროგრამა.

მოპასუხეს (სააგენტო) არ განუცხადებია შუამდგომლობა წარდგენილი გადახდის დამადასტურებელი ჩეკების თაობაზე და არ ხდის სადაოდ აცრებისა და სამედიცინო მომსახურების გაწევის ფაქტს.

4. გასაჩივრებული გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების დასაბუთება:

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 377-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლო ამოწმებს გადაწყვეტილებას სააპელაციო საჩივრის ფარგლებში, ფაქტობრივი და სამართლებრივი თვალსაზრისით. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სამართლებრივი თვალსაზრისით შემოწმებისას, სასამართლო ხელმძღვანელობს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე და 394-ე მუხლების მოთხოვნებით.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 382-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს შეუძლია გაიზიაროს პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ მტკიცებულებათა გამოკვლევის შედეგები მთლიანად ან ნაწილობრივ. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 390-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის მიხედვით, სააპელაციო სასამართლოს განჩინება



აღწერილობითი და სამოტივაციო ნაწილების ნაცვლად უნდა შეიცავდეს მოკლე დასაბუთებას გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების ან უცვლელად დატოვების შესახებ. თუ სააპელაციო სასამართლო ეთანხმება პირველი ინსტანციის სასამართლოს შეფასებასა და დასკვნებს, საქმის ფაქტობრივ ან/და სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით, მაშინ დასაბუთება იცვლება მათზე მითითებით.

სააპელაციო პალატა ეთანხმება და იზიარებს პირველი ინსტანციის სასამართლოს შეფასებებს და დასკვნებს საქმის ფაქტობრივ გარემოებებთან დაკავშირებით, მიუთითებს მათზე და დამატებით აღნიშნავს:

ფაქტობრივი დასაბუთება

საქმეზე დადგენილია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

4.1. დადგენილია, რომ მოსარჩელები - გ. და ს. ტ.-ები დაიბადნენ რუსეთის ფედერაციაში, ქალაქ მოსკოვში 2010 წლის XX აგვისტოს (ს. ტ.) და 2008 წლის X ოქტომბერს (გ. ტ.), რომელთა მამა - ი. ტ. საქართველოს რესპუბლიკის, ხოლო დედა - რუსეთის ფედერაციის მოქალაქეა.

გ. და ს. ტ. არიან დაბადებით რუსეთის ფედერაციის მოქალაქეები. მათი დაბადების დროს მამა ი. ტ. არის საქართველოს მოქალაქე და გააჩნდა მუდმივი საცხოვრებელი ადგილი საქართველოს ტერიტორიაზე. (ტ1 ს.ფ. 101-106, 109, 121-128.

4.2 დადგენილია, რომ 2012 წლის 4 იანვარს, შემდგომ დაზუსტებული მოთხოვნით ამავე წლის 21 მარტს მოსარჩელეთა კანონიერმა წარმომადგენელმა, დედამ - ლ. ი.-მ განცხადებით მიმართა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სამოქალაქო რეესტრს და მოითხოვა მისი შვილების - გ. და ს. ტ.-ებისათვის საქართველოს მოქალაქის პასპორტების გაცემა (ს.ფ. 26-30.

4.3. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს 2012 წლის 06 აპრილის წერილის თანახმად, ლ. ი.-ს 2012 წლის XX იანვრის NXXX და 2012 წლის XX მარტის NXXXXX გ. და ს. ტ.-ზე საქართველოს პასპორტის გაცემის შესახებ განცხადებების პასუხად განემარტა, საქართველოს მოქალაქეობის შესახებ საქართველოს ორგანული კანონის მე-2, მე-11, მე-12 და 32-ე მუხლების დანაწესები, „საქართველოს მოქალაქეთა, საქართველოში მცხოვრებ უცხოელთა რეგისტრაციისა და რეგისტრაციიდან მოხსნის, პიარდობის (ბინადრობის) მოწმობის, პასპორტის, სამგზავრო პასპორტი და სამგზავრო დოკუმენტის გაცემის წესის შესახებ“ იუსტიციის მინისტრის 2011 წლის 27 ივლისის N98 ბრძანების მე-7 და მე-14 მუხლის მოთხოვნები, ასევე საქართველოს მოქალაქეობის მინიჭების თაობაზე, საქართველოს პრეზიდენტის 2006 წლის 26 იანვრის N80 ბრძანებულებით დამტკიცებული „უცხო ქვეყნის



მოქალაქისათვის საქართველოს მოქალაქეობის მინიჭების წესის შესახებ“ დებულების მე-3 მუხლი (ტ1. ს.ფ.46-47).

4.4 2012 წლის 02 მაისს ლ. ი.-მ განცხადებით მიმართა სამოქალაქო რეესტრს და მოითხოვა მის მიერ მანამდე წარდგენილ განცხადებას დართოდა გ. და ს. ტ.-ების დაბადების მოწმობების ქსეროასლები და მეუღლის ი. ტ.-ს პირადობის დამდასტურებელი მოწმობა (ტ.1 ს.ფ.107)

4.5. დადგენილია, რომ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს 2012 წლის X მაისის №XXXXXXXXXX და №XXXXXXXXXX დასკვნებით, გამომდინარე იქედან, რომ გ. და ს. ტ.-ები იყვნენ იმავდროულად დაბადებით რუსეთის ფედერაციის მოქალაქეები და იმ დროს ძალაში მყოფი ”საქართველოს მოქალაქეობის შესახებ” საქართველოს ორგანული კანონის 32-ე მუხლის „დ” პუნქტის თანახმად, სხვა ქვეყნის მოქალაქეობის მიღება საქართველოს მოქალაქეობის დაკარგვის საფუძველი იყო, მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული გ. და ს. ტ.-ებისათვის საქართველოს მოქალაქეობის შეწყვეტა, რაც წარედგინა საქართველოს პრეზიდენტს. მითითებული დასკვნების საფუძველზე, საქართველოს პრეზიდენტმა 2012 წლის XX მაისს გამოსცა №XXX ბრძანებულება, მათ შორის, საქართველოს მოქალაქეების - გ. და ს. ტ.-ების საქართველოს მოქალაქეობის შეწყვეტის შესახებ. (ტ1 79-81, 95-96).

4.6. საქმეში წარმოდგენილი სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს 2013 წლის XX ოქტომბრის წერილის თანახმად, ი. ტ.-ს 2013 წლის XX ოქტომბრის NXXXXX განცხადების პასუხად ეცნობა, რომ გ. და ს. ტ.-ები როგორც ი. ტ.-ს არასრულწლოვანი შვილები ჩაითვალნენ საქართველოს მოქალაქეებად საქართველოს მოქალაქეობის შესახებ საქართველოს ორგანული კანონის მე-11 და მე-12 მუხლების მოთხოვნათა შესაბამისად. საქართველოს მოქალაქე იმავდროულად არ შეიძლება იყოს სხვა სახელმწიფოს მოქალაქე, გარდა საქართველოს კონსტიტუციით დადგენილი გამონაკლისი შემთხვევებისა. საქმეზე არსებული დოკუმენტით ს. და გ. ტ.-ები აგრეთვე ითვლებიან რუსეთის ფედერაციის მოქალაქეებად, რაც დასტურდება მათი რუსეთის ფედერაციის მოქალაქის პასპორტებით, რითაც დარღვეულია საქართველოს კონსტიტუციის მე-12 მუხლი, შესაბამისად „საქართველოს მოქალაქეობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 32-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად გ. და ს. ტ.-ებს შეუწყდათ საქართველოს მოქალაქეობა (ტ1 ს.ფ. 65).

4.7. სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს 2014 წლის XX ივნისის წერილით ლ. ი.-ს 2014 წლის XX მაისის NXXXXX განცხადებაზე, განემარტა, რა გ. და ს. ტ.-ების საქართველოს მოქალაქეობის შეწყვეტის საფუძველები, ეცნობა, რომ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მოქალაქეობისა და მიგრაციის სააგენტო მოკლებული იყო შესაძლებლობას ემსჯელა საქართველოს პრეზიდენტის მიერ მიღებული ბრძანებულებების გაუქმებაზე (ტ1. ს.ფ.68-69)



4.8. სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს 2014 წლის XX სექტემბრის წერილით ლ. ი.-ს 2014 წლის XX აგვისტოს NXXXXXXX წერილზე განემარტა, რომ "საქართველოს მოქალაქეობის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 29-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, საქართველოს მოქალაქეობის საკითხზე საქართველოს პრეზიდენტის მიერ მიღებული გადაწყვეტილება, გარდა საქართველოს მოქალაქეობის საგამონაკლისო წესით მინიჭებაზე უარყოფითი გადაწყვეტილებისა, შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლოში კანონმდებლობით დადგენილი წესით. (ტ1 ს.ფ.78)

4.9. მოსარჩელების - გ. და ს. ტ.-ების კანონიერმა წარმომადგენლებმა 2014 წლის 26 სექტემბერს საჩივრით მიმართეს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს და მოითხოვეს გ. და ს. ტ.-ებისათვის მოქალაქეობის შეწყვეტის მიზანშეწონილობის თაობაზე სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს დასკვნების ბათილად ცნობა და მათზე საქართველოს მოქალაქის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტების გაცემა, რაზეც 2015 წლის 12 იანვარს საქართველოს იუსტიციის სამინისტროსაგან მიიღო საჩივრის განხილვაზე უარის თაობაზე №XXX წერილი.

სამართლებრივი დასაბუთება

4.10. სააპელაციო სასამართლო ეთანხმება და იზიარებს პირველი ინსტანციის სასამართლოს შეფასებებს და დასკვნებს საქმის სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით, მიუთითებს მათზე და დამატებით აღნიშნავს, შემდეგს:

მოცემულ შემთხვევაში დავის საგანს წარმოადგენს წარმოადგენს ს. და გ. ტ.-ებისათვის საქართველოს მოქალაქეობის შეწყვეტის თაობაზე საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს 2012 წლის XX მაისის №XXXXXXXXXX და №XXXXXXXXXX დასკვნების და ასევე დასკვნების საფუძველზე გ. და ს. ტ.-ებისათვის საქართველოს მოქალაქეობის შეწყვეტის შესახებ საქართველოს პრეზიდენტის მიერ გამოცემული ბრძანებულების ბათილად ცნობა.

წინამდებარე დავის კანონიერად და ობიექტურად გადაჭრის მიზნით, იმისათვის, რომ შეფასდეს ს. და გ. ტ.-ებისათვის საქართველოს მოქალაქეობის შეწყვეტის მართლზომიერება, სასამართლო საჭიროდ მიიჩნევს მიმოიხილოს სადავო სამართლებრივი ურთიერთობის მარეგულირებელი კანონმდებლობა.

4.11. პალატა განმარტავს, რომ პირის საქართველოს მოქალაქედ აღჭურვის ძირითად საკანონმდებლო წყაროს წარმოადგენს საქართველოს კონსტიტუცია და "საქართველოს მოქალაქეობის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონი, რითაც დეკლარირებული უფლებების სიცოცხლისუნარიანობა გარანტირებულია. საქართველო ასევე



მიერთებულია იმ საერთაშორისო აქტებს რომლებიც აღიარებენ მოქალაქეობასთან დაკავშირებულ ღირებულებებს. 1997 წლის „მოქალაქეობის შესახებ“ ევროპის კონვენცია ნებისმიერ ადამიანს ანიჭებს მოქალაქეობის უფლებას და დაუშვებლად მიიჩნევს მოქალაქეობის მინიჭების დროს პირის დისკრიმინაციას მისი სქესის, რასის, კანის ფერის და ეროვნული ან ეთნიკური კუთვნილების მიხედვით. კონვენცია ადგენს ფიზიკური პირების მოქალაქეობასთან დაკავშირებულ წესებსა და პრინციპებს, მასში ასახულია მოქალაქეობის მინიჭების, დაკარგვის ან აღდგენის პროცედურები.

2014 წლის 30 აპრილის საქართველოს მოქალაქეობის შესახებ საქართველოს ორგანული კანონის მე-3 მუხლის 1-ლი, ნაწილის (მოქმედი ნორმა) თანახმად, საქართველოს მოქალაქეობა არის საქართველოსთან პირის სამართლებრივი კავშირი.

სადავო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების გამოცემის დროს მოქმედი 1993 წლის 25 მარტის „საქართველოს მოქალაქეობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის პრეამბულის თანახმად, მოქალაქეობა ნიშნავს პირის პოლიტიკურ სამართლებრივ კავშირს საქართველოს სახელმწიფოსთან, რაც გამოიხატება ურთიერთსანაცვლო უფლება-მოვალეობათა ერთიანობით, ემყარება ადამიანის ღირსების პატივისცემას, მისი უფლებებისა და თავისუფლებების აღიარებას. ეს კანონი საერთაშორისო სამართლისა და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად უზრუნველყოფს საქართველოს მოქალაქის უფლებათა დაცვას როგორც ქვეყანაში, ისე მის ფარგლებს გარეთ. იმავე კანონის მე-2 მუხლის შესაბამისად, საქართველოში ამ კანონით დადგენილი წესით ყოველ ადამიანს აქვს საქართველოს მოქალაქეობის უფლება. არავის არ შეიძლება შეეზღუდოს მოქალაქეობის შეცვლის უფლება, გარდა ამ კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა და არავის არ შეიძლება ჩამოერთვას საქართველოს მოქალაქეობა.

4.12. პალატა განმარტავს, რომ საქართველოს მოქალაქეობის მოპოვების წესი განსაზღვრულია საქართველოს ძირითადი კანონით და ორგანული კანონით. მოქალაქეობა იძლევა გარანტიას პირი იყოს სახელმწიფოს სრულუფლებიანი წევრი, რომელზედაც სრულყოფილად გავრცელდება სახელმწიფოს მიერ განსაზღვრული სიკეთეები. საქართველოს ძირითადი კანონის მე-2 თავი ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები იწყება საქართველოს მოქალაქეობის მოპოვებით. ამავე დროს საქართველოს სახელმწიფო აღიარებს საყოველთაო უფლებებს და თავისუფლებებს მიუხედავად ქვეყნის მოქალაქეობრივი მდგომარეობისა.

4.13. დღეს მოქმედი "საქართველოს მოქალაქეობის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის მე-3 მუხლის მე-2, მე-3, მე-4 და მე-5 ნაწილის თანახმად, საქართველოში დადგენილია ერთიანი მოქალაქეობა. საქართველოს მოქალაქე იმავდროულად არ შეიძლება იყოს სხვა ქვეყნის მოქალაქე, გარდა ამ კანონის მე-17 მუხლით გათვალისწინებული შემთხვევისა. არავის არ შეიძლება შეეზღუდოს მოქალაქეობის



შეცვლის უფლება, გარდა ამ კანონითა და საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებით გათვალისწინებული შემთხვევებისა. საქართველოს მოქალაქეობის ჩამორთმევა დაუშვებელია. ამავე კანონის მე-10 მუხლის ა) პუნქტის თანახმად, საქართველოს მოქალაქეობას დაბადებით მოიპოვებს: ა) პირი, რომლის დაბადების მომენტისათვის მისი ერთ-ერთი მშობელი საქართველოს მოქალაქეა; მე-13 მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, არასრულწლოვან პირს, რომელსაც საქართველოს მოქალაქეობა დაბადებით არ მოუპოვებია, საქართველოს მოქალაქეობა ჩვეულებრივი წესით მიენიჭება, თუ მისი ერთ-ერთი მშობელი საქართველოს მოქალაქეა.

სადავო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების გამოცემის დროს მოქმედი "საქართველოს მოქალაქეობის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის მე-10 მუხლის თანახმად, საქართველოს მოქალაქეობის მოპოვება ხდება: ა) დაბადებით; ბ) საქართველოს მოქალაქეობის მიღებით (ნატურალიზაციით); გ) საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებითა და ამ კანონით გათვალისწინებული სხვა საფუძვლებით. ამავე ორგანული კანონის მე-12 მუხლის თანახმად, ა) და ბ) პუნქტების თანახმად, მშობლების სხვადასხვა მოქალაქეობისას, თუ ბავშვის დაბადების მომენტისათვის ერთ-ერთი მათგანი საქართველოს მოქალაქეა, ბავშვი ითვლება საქართველოს მოქალაქედ, თუ: დაიბადა საქართველოს ტერიტორიაზე; დაიბადა საქართველოს ფარგლებს გარეთ, მაგრამ მის ერთ-ერთ მშობელს მუდმივი საცხოვრებელი ადგილი აქვს საქართველოს ტერიტორიაზე; ხოლო 32-ე მუხლის 1-ლი ნაწილის დ) პუნქტის თანახმად, ამ კანონის შესაბამისად პირი დაკარგავს საქართველოს მოქალაქეობას, თუ: დ) მიიღებს სხვა სახელმწიფოს მოქალაქეობას.

4.14 აქვე, პალატა განმარტავს, რომ მოქალაქეობა არის სახელმწიფოს და ადამიანს შორის ორმხრივი ურთიერთობა, რომელიც ეფუძნება ორმხრივ ნებას განსაზღვრული ლეგიტიმაციის ფარგლებში. რაც ნიშნავს, რომ მოქალაქეობის სამართლებრივი მდგომარეობა წარმოშობს როგორც უფლებებს, ასევე ვალდებულებებს სახელმწიფოს წინაშე. სახელმწიფოსაც გააჩნია უფლებები და ვალდებულებები მოქალაქეების მიმართ. მოქალაქეობრივი მდგომარეობის წარმოშობა და დადასტურება არის მხოლოდ ნებელობითი აქტით განმსაზღვრელი ლეგიტიმური ქმედების შედეგი, ხოლო ნების იურიდიული დადასტურების იგნორირება ეწინააღმდეგება ადამიანის თავისუფალი არჩევანის შესაძლებლობის ფუნდამენტურ ღირებულებებს. სააპელაციო სასამართლო, ზემოთ მითითებული ნორმების საფუძველზე ასევე აღნიშნავს, რომ პირის მიერ სხვა სახელმწიფოს მოქალაქეობის მიღების ფაქტი წარმოადგენს საქართველოს მოქალაქეობის დაკარგვის საფუძველს. ორმაგი მოქალაქეობა დაშვებულია საგამონაკლისო შემთხვევებში, კანონით დადგენილი წესით.

4.15. სააპელაციო პალატა იზიარებს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამართლებრივ შეფასებებს იმ გარემოებასთან დაკავშირებით, რომ სადავო ურთიერთობის წარმოშობის დროისათვის მოქმედი "საქართველოს მოქალაქეობის შესახებ" საქართველოს



ორგანული კანონის მე-12 მუხლის "ზ" პუნქტით გათვალისწინებული ნორმა, რომელიც ადგენდა პირების მიერ ე.წ. "სისხლის პრინციპით" (ნათესაური კავშირის საფუძველზე) მოქალაქეობის მიღებას, სარგებლობს დაცვის ღირსი გარანტიებით, მიუხედავად იმ გარემოებისა, რომ უმრავლესი ქვეყნების კანონმდებლობა ასევე ითვალისწინებს შესაბამისი ქვეყნის მოქალაქეობის ე.წ. "ნიადაგის პრინციპის" ე.ი. დაბადების ადგილის საფუძველზე მიღებას.

საქმის მასალებით დადგენილია, რომ გ. და ს. ტ.-ებს, ობიექტურად არსებული იურიდიული ფაქტების საფუძველზე, ერთდროულად, წარმოეშვათ სამართლებრივი საფუძვლები მინიჭებოდათ, როგორც საქართველოს მოქალაქეობა (ე.წ. "სისხლის პრინციპი"), ასევე რუსეთის ფედერაციის მოქალაქეობა (ე.წ. "ნიადაგის პრინციპით"), რაც განხორციელდა კიდევ. ამგვარად, საქმის მასალებით დასტურდება გ. და ს. ტ.-ების შემთხვევაში, მოქალაქეობრივი შეუთავსებლობის წარმოშობის ფაქტი. დადგენილია, ასევე, რომ საქმის განხილვის დროისათვის, აპელანტების მამა - ი. ტ. (საქართველოს მოქალაქე) მეუღლესთან და შვილებთან ერთად მუდმივად ცხოვრობს საქართველოში.

4.16. პალატა ეთანხმება სასამართლოს დასკვნას, რომ მოცემულ შემთხვევაში გადაწყვეტი იყო არასრულწლოვანთა კანონიერი წარმომადგენლების მიერ ნების გამოხატვა საქართველოს მოქალაქეობის დათმობის, ან უცხო სახელმწიფოს მოქალაქეობაზე უარის თქმის გზით საქართველოს მოქალაქეობის შენარჩუნების შესახებ, რაც არ შეეწინააღმდეგებოდა საქართველოს კონსტიტუციისა და ორგანული კანონის ერთიანი მოქალაქეობის შესახებ იმპერატიულ დანაწესს, რამდენადაც მოსარჩელეთა მიერ შესაბამისი ნების გამოხატვის შემდეგ მოცემული დანაწესი აღსრულდებოდა.

პალატა მიუთითებს საქართველოს პრეზიდენტის სადავოდ ქვეული ბრძანებულების გამოცემის დროისათვის მოქმედი "საქართველოს მოქალაქეობის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 36-ე მუხლის შესაბამისად, საქართველოს მოქალაქეობის საკითხებზე განცხადებასა და წარდგინებას განიხილავს და შესაბამის დასკვნას ამზადებს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სამოქალაქო რეესტრის სააგენტო, ხოლო თუ სააგენტოსათვის ცნობილი გახდება საქართველოს მოქალაქეობის დაკარგვის საფუძვლების არსებობა იგი ადგენს შესაბამის დასკვნას მოქალაქეობის დაკარგვის საკითხის თაობაზე და მასალებს წარუდგენს საქართველოს პრეზიდენტს, რის საფუძველზეც საქართველოს პრეზიდენტი გამოსცემს შესაბამის აქტს.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის, პირველი ნაწილი ადმინისტრაციულ ორგანოებს იმისათვის, რომ მათი გადაწყვეტილება არ აღიქმებოდეს თვითნებურად, ავალდებულებს ადმინისტრაციული წარმოებისას გამოიკვლიოს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება და გადაწყვეტილება მიიღოს ამ გარემოებათა შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე. ამავე კოდექსის 97-ე



მუხლის მიხედვით, საქმის გარემოებების გამოკვლევის მიზნით ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია გამოითხოვოს დოკუმენტები, მოუსმინოს დაინტერესებულ მხარეებს, შეაგროვოს ცნობები და ა.შ.

4.17. საყურადღებოა კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების დანაწესები მოქალაქეობის მდგომარეობის დადგენის ლეგიტიმური მექანიზმების გამოყენების შესახებ, კერძოდ, საქართველოს მოქალაქეობის საკითხთა განხილვისა და გადაწყვეტის შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე საქართველოს პრეზიდენტის 2014 წლის 10 ივნისი №237 ბრძანებულების 1-ლი მუხლის თანახმად, საქართველოს მოქალაქეობის საკითხთა განხილვისა და გადაწყვეტის შესახებ დებულება (შემდეგში - დებულება) უკავშირდება საქართველოს მოქალაქეობის მინიჭებასა და შეწყვეტას და განსაზღვრავს „საქართველოს მოქალაქეობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის (შემდეგში – კანონი) შესაბამისად საქართველოს მოქალაქეობის მოპოვებისა (საქართველოს მოქალაქეობის ჩვეულებრივი წესით მინიჭება, გამარტივებული წესით მინიჭება, საგამონაკლისო წესით მინიჭება, აღდგენის წესით მინიჭება, საქართველოს მოქალაქეობის დადგენა) და საქართველოს მოქალაქეობის შეწყვეტის (საქართველოს მოქალაქეობიდან გასვლა, საქართველოს მოქალაქეობის დაკარგვა), აგრეთვე საპატიო მოქალაქეობის მინიჭების საკითხთა განხილვა-გადაწყვეტის, მოქალაქეობის საკითხებზე მიღებულ გადაწყვეტილებათა აღსრულების, მათი კონტროლისა და მოქალაქეობის საკითხთა სტატისტიკის წარმოების წესებს.

დებულების მე-3 მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილების თანახმად, საქართველოს მოქალაქეობა არის საქართველოსთან პირის სამართლებრივი კავშირი. საქართველოში დადგენილია ერთიანი მოქალაქეობა. საქართველოს მოქალაქე იმავდროულად არ შეიძლება იყოს სხვა ქვეყნის მოქალაქე, გარდა კანონის მე-17 მუხლით გათვალისწინებული შემთხვევისა. მე-18 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, მოქალაქეობის საკითხთა განხილვის პროცესში სააგენტო უფლებამოსილია: ა) მოიწვიოს განმცხადებელი ან დაინტერესებული პირი, წარდგინების შემტანი ორგანოს წარმომადგენელი, აგრეთვე პირი, რომლის მოწვევასაც შეიძლება მნიშვნელობა ჰქონდეს განსახილველ საქმესთან დაკავშირებული გარემოებების შესასწავლად, მიიღოს მათგან საკითხის განსახილველად საჭირო დოკუმენტაცია და ახსნა-განმარტება; ბ) სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებიდან, ასევე სხვა ორგანიზაციებიდან მიიღოს აუცილებელი დოკუმენტაცია და წერილობითი დასკვნები განსახილველ საქმესთან დაკავშირებით.

დადგენილია, რომ გ. და ს. ტ.-ებისათვის მოქალაქეობის შეწყვეტის თაობაზე ადმინისტრაციული წარმოებისას და შესაბამისი დასკვნების მომზადებისას. მოპასუხე - სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს არ გამოუკვლევია საქმისათვის ისეთი გადაწყვეტი მნიშვნელობის მქონე გარემოება, როგორცაა გ. და ს. ტ.-ების კანონიერი წარმომადგენლების ნება და მზაობა დაეთმოთ უცხო სახელმწიფოს



მოქალაქეობა საქართველოს მოქალაქეობის შენარჩუნების მიზნით, რაც მას შეეძლო დაინტერესებული მხარისათვის მოსმენით და შესაბამის ვადის განსაზღვრით სათანადო ღონისძიებების განსახორციელებლად.

4.18. სააკლაციო სასამართლო ასევე მიუთითებს "ბავშვის უფლებათა კონვენციის" მე-3 მუხლის პირველი პუნქტზე, რომლის შესაბამისად, ბავშვის მიმართ ნებისმიერ ქმედებათა განხორციელებისას, მიუხედავად იმისა, თუ ვინ არის მათი განმხორციელებელი - სახელმწიფო თუ კერძო დაწესებულებები, რომლებიც მუშაობენ სოციალური უზრუნველყოფის საკითხებზე, სასამართლოები ადმინისტრაციული თუ საკანონმდებლო ორგანოები - უპირველესი ყურადღება ეთმობა ბავშვის ინტერესების დაცვის უკეთ უზრუნველყოფას. დადგენილია და მხარეები არ დავობენ იმ გარემოებაზე, რომ მოსარჩელები - გ. და ს. ტ.-ები არიან 18 წლამდე ასაკის პირები და მათზე ვრცელდება "ბავშვის უფლებათა კონვენციის" მოქმედების არეალი.

4.19. პალატა ასევე ეთანხმება თბილისის საქალაქო სასამართლოს დასკვნას, რომ სადავო შემთხვევაში, არასრულწლოვანი პირებისათვის გ. და ს. ტ.-ებისათვის, საქართველოს მოქალაქეობის უპირობოდ, მათი კანონიერი წარმომადგენლების ნების გამოკვლევის გარეშე შეწყვეტა, მაღალი ალბათობით ბავშვების ინტერესების უკეთ დაცვას ვერ უზრუნველყოფს.

ზემოთ აღნიშნული გარემოებები ცხადყოფს, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ მართებულად გამოიყენა, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილის დანაწესი, რომლის თანახმად, თუ სასამართლო მიიჩნევს, რომ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ - სამართლებრივი აქტი გამოცემულია საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის გარემოების გამოკვლევისა და შეფასების გარეშე, იგი უფლებამოსილია სადავო საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად ცნოს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი და დაავალოს ადმინისტრაციულ ორგანოს, ამ გარემოებათა გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ გამოსცეს ახალი. კერძოდ, სწორად სცნო ბათილად, სადავო საკითხის გადაუწყვეტლად, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს 2012 წლის XX მაისის №XXXXXXXXXX და №XXXXXXXXXX დასკვნები ს. და გ. ტ.-ებისათვის საქართველოს მოქალაქეობის შეწყვეტის თაობაზე, საქართველოს პრეზიდენტის 2012 წლის 10 მაისის №XXX ბრძანებულება ს. ტ.-სა და გ. ტ.-სათვის საქართველოს მოქალაქეობის შეწყვეტის ნაწილში და დაავალა საქართველოს პრეზიდენტსა და საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს, საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე ზემოაღნიშნული გარემოებათა შესწავლისა და გამოკვლევის შემდეგ, გამოსცენ ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები სადავო საკითხთან დაკავშირებით. პალატის აზრით, ადმინისტრაციულმა ორგანომ უნდა გამოარკვიოს და დაადგინოს მოსარჩელე მხარის ნება საქართველოს მოქალაქეობის განსაზღვრისათვის



საკანონმდებლო დანაწესებთან თანმიმდევრულად და მიიღოს გადაწყვეტილება განცხადების განხილვის მართლზომიერი შედეგით.

4.20 პალატა ასევე ეთანხმება პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებას საქართველოს იუსტიციის სამინისტროს 2015 წლის 12 იანვარს საჩივრის განხილვაზე უარის თაობაზე №XXX წერილის კანონიერებასთან დაკავშირებით.

დადგენილია, რომ გ. და ს. ტ.-ების კანონიერმა წარმომადგენლებმა 2014 წლის 26 სექტემბერს საჩივრით მიმართეს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს და მოითხოვეს გ. და ს. ტ.-ებისათვის მოქალაქეობის შეწყვეტის მიზანშეწონილობის თაობაზე სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს დასკვნების ბათილად ცნობა და მათზე საქართველოს მოქალაქის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტების გაცემა, რაზეც 2015 წლის XX იანვარს საქართველოს იუსტიციის სამინისტროსაგან მიიღო საჩივრის განხილვაზე უარის თაობაზე №XXX წერილი.

საქართველოს მოქალაქეობის საკითხთა განხილვისა და გადაწყვეტის შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე საქართველოს პრეზიდენტის 2014 წლის 10 ივნისი №237 ბრძანებულების 23-ე მუხლის თანახმად, საქართველოს მოქალაქეობის საკითხებზე სააგენტოს დასკვნა, რომელიც დამოუკიდებლად წარმოშობს სამართლებრივ შედეგებს და საქართველოს პრეზიდენტის გადაწყვეტილება, გარდა საგამონაკლისო წესით მოქალაქეობის მინიჭებაზე უარყოფითი გადაწყვეტილებისა, შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლოში, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

აღნიშნული დანაწესიდან გამომდინარე პალატს მიაჩნია, რომ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს 2015 წლის XX იანვარს საჩივრის განხილვაზე უარის თაობაზე №XXX წერილის გამოცემით არ დაურღვევია შესაბამისი კანონმდებლობის დანაწესები და არ არსებობს მისი ბათილად ცნობის საფუძველი.

4.21. პალატას მნიშვნელოვნად მიაჩნია აღნიშნოს, რომ სადავო ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტების სამართალწარმოებით გასაჩივრების ხანდაზმულობის ვადასთან დაკავშირებით სარჩელის დასაშვებობის საკითხი პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ ასევე სწორად არის გადაწყვეტილი. დადგენილია, რომ სადავო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტებს არ ჰქონდათ მითითება გასაჩივრების წესის და პირობების შესახებ. პალატა აღნიშნავს, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი პირდაპირ არაფერს ამბობს იმ შემთხვევასთან დაკავშირებით თუ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში არ არის მითითებული გასაჩივრების წესი და პირობები როგორ შეიძლება განისაზღვროს ასეთი აქტების გასაჩივრებისათვის ხანდაზმულობის ვადა. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატამ ასეთ შემთხვევაში დაადგინა პრაქტიკა და აღნიშნა,



რომ „ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დაშვებული სამართლებრივი შეცდომა ვერ გახდება პირის სარჩელის დასაშვებობის დამაბრკოლებელი მატერიალურ-სამართლებრივი საფუძველი. ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით განსაზღვრული არ არის ამავე კოდექსის 52.2 მუხლით დადგენილი წესის დარღვევის სამართლებრივი შედეგი, რაც საკანონმდებლო ხარვეზით უნდა აიხსნას, რის გამოც საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ ადმინისტრაციული სამართლის დოქტრინის საფუძველზე შესაძლებელია ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის პროცესზე ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-12 მუხლით დადგენილი წესის გავრცელება, რომლის მიხედვით, თუ მხარეს არ განემარტა გასაჩივრების შესაძლებლობა, გასაჩივრების ვადა და წესი, ან არასწორად განემარტა იგი, მაშინ გასაჩივრება შეიძლება აქტის გამოტანიდან ერთი წლის განმავლობაში.“ (საქმე №ბს-226-223(2კ-14) სუხს გადაწყვეტილება) აქვე საყურადღებოა ის გარემოება, რომ ასეთი სადავო აქტების გასაჩივრება მოსარჩელე მხარემ განახორციელა ადმინისტრაციულ ორგანოებში, რა მოქმედებაც უნდა ჩაითვალოს ხანდაზმულობის ვადის დენის შეჩერებად. აღნიშნულიდან გამომდინარე პალატს მიაჩნია, რომ სასამართლომ მართებულად მიიჩნია სარჩელი დასაშვებად სადავო აქტების გასაჩივრების ნაწილში.

4.22. პალატა ასევე ეთანხმება და იზიარებს პირველი ინსტანციის სასამართლოს მსჯელობას ზიანის ანაზღაურების უსაფუძვლობის თაობაზე და აღნიშნავს, რომ პირის მიერ დარღვეულ უფლებაში აღდგენა ადმინისტრაციულ სამართალში სახელმწიფოს მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის ლეგიტიმურ შესაძლებლობას უკავშირდება, რაც ეფუძნება სახელმწიფო მოხელეთა თუ საჯარო მოსამსახურეთა სამსახურებრივი უფლებამოსილების (საჯარო-სამართლებრივი უფლებამოსილების განხორციელების პროცესი), არასათანადოდ, არაკეთილსინდისიერად, უკანონოდ განხორციელების დადგენილი წესით უტყუარად დადასტურებას.

პალატა მნიშვნელოვნად მიიჩნევს მიაქციოს ყურადღება სახელმწიფოსთვის პასუხისმგებლობის დაკისრებისას დადასტურებული ზიანის შედეგების არსებობის აუცილებლობას და განავრცობს, რომ ზიანის, როგორც სამართლებრივი ცნების მსჯელობისას, მატერიალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის ზოგადი სახის პირობებად გვევლინება ზიანის შედეგის დადგომის დადასტურებები, ზიანის გამოძწვევი პირის ბრალეულობა, ქმედებას და დამდგარ შედეგს შორის კავშირი და დაზარალებული პირის მცდელობები და შესაძლებლობი ზიანის თავიდან ასაცილებლად. ანუ ზიანის ანაზღაურების ვალდებულება წარმოიშობა მხოლოდ მაშინ, თუ სხვა ნორმატიულ კრიტერიუმებთან ერთად არსებობს ზიანის მიყენებისათვის პასუხისმგებლობის დაკისრების დადასტურებული პირობები. საქმეში არსებული მასალების ერთობლიობაში შფასების თანახმად კი, პალატის აზრით ვერ დასტურდება რეალური ზიანის ფაქტები მოსარჩელე მხარის მიმართ შესაბამისად, პირველი



ინსტანციის სასამართლომ სწორად არ დააკმაყოფილა აღნიშნულ ნაწილში სარჩელის მოთხოვნა.

5. შემაჯამებელი სასამართლო დასკვნა

5.1. ზემოაღნიშნული გარემოებების ანალიზის საფუძველზე სააპელაციო პალატას მიაჩნია, რომ სააპელაციო საჩივრით ვერ იქნა გაბათილებული თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის დასკვნები სარჩელის დაკმაყოფილების შესახებ. პირველი ინსტანციის სასამართლომ სწორად გადაწყვიტა სადავო საკითხი, რის გამოც არ არსებობს სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილებისა და გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე და 394-ე მუხლებით გათვალისწინებულ პროცესუალურ-სამართლებრივი საფუძვლები. შესაბამისად, უცვლელად უნდა დარჩეს მოცემულ საქმეზე თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის გადაწყვეტილება.

6.1. „სახელმწიფო ბაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის 5-ე მუხლის, პირველი ნაწილის „უ“ ქვეპუნქტის თანახმად, აპელანტი - საქართველოს პრეზიდენტი განთავისუფლებულია სახელმწიფო ბაჟის გადახდის მოვალეობისაგან. აპელანტის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟი 150 (ას ორმოცდაათი) ლარის ოდენობით უნდა დარჩეს სახელმწიფო ბიუჯეტში გადახდილად.

ს ა რ ე ზ ო ლ უ ც ი ო ნ ა წ ი ლ ი

იხელმძღვანელა რა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 257-ე, 372-ე, 390-ე, 395-ე, 397-ე მუხლებით

სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატამ და ა ა დ გ ი ნ ა:

1. საქართველოს პრეზიდენტის, გ. ტ.-ს და ს. ტ.-ს სააპელაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდეს;
- 2 უცვლელად დარჩეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 16 ივლისის გადაწყვეტილება;
- 3 განჩინება შეიძლება გასაჩივრდეს საკასაციო საჩივრით საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატაში (თბილისი, ძმები



ზუბალაშვილების ქ. №32) თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის მეშვეობით (თბილისი, გრ. რობაქიძის გამზ. №7ა) მხარეთათვის დასაბუთებული განჩინების ასლის ჩაბარებიდან 21 (ოცდაერთი) დღის ვადაში.

თავმჯდომარე

თეა ძიმისტარაშვილი

მოსამართლეები

მერაბ ლომიძე

გიორგი ტყავაძე